განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2027 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

როგორც ყველასათვის ცნობილია 2026 წელს გლობალური ეკონომიკური გარემო მნიშვნელოვნად შეიცვალა. წლის დასაწყისში საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზები სტაბილურ ზრდას ითვალისწინებდა, მათი პროგნოზით 2026 წელს ეკონომიკის ზრდა 3,3 პროცენტს და 2027 წელს 3,2 პროცენტს შეადგენდა. თუმცა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის გამწვავებამ და ენერგორესურსების ბაზრების შეფერხებამ პროგნოზების გადახედვა გამოიწვია, აღნიშნული პრონოზები ხშირად იცვლებოდა…გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება გარკვეულწილად ჩვენი რეგიონის ქვეყნებზე, ასევე საერთაშორისო ნავთობის ფასებზეც არის . დამოკიდებული. ისევე როგორც წინა წლებში, 2027-2030 წლების მაკროეკონომიკური პარამეტრები ამ ეტაპზე დაგეგმილია კონსერვატიული მიდგომით, და გათვალისწინებულია შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

დასახელება	2026	2027	2028	2029	2030
რეალური მშპ-ს ზრდა	6.8%	5.0%	5.2%	5.3%	5.3%
მშპ-ს დეფლატორი	3.9%	3.7%	3.0%	3.0%	3.0%
ნომინალური მშპ-ს ზრდა	11.0%	8.9%	8.4%	8.5%	8.5%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	116,067.5	126,380.1	136,940.5	148,524.3	161,087.9
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	11,113.4	12,286.3	13,312.9	14,439.1	15,660.5

რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5,0%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5,2; 5,3%-ს შეადგენს;

საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი (მშპ-ს დეფლატორი) 2027 წელს დახლოებით 3,7% არის, მაგრამ მომდევნო წელს კლებადი ტენდეცია ექნება და მიზნობრივ 3,0 %-ს დაუბრუნდება და მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება.

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი-ის პროგნოზი განსაზღვრულია 2027 წელს 126 380,1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი - 12 286,3 დოლარი იქნება.

2027 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,9 პროცენტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ამასთან, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის შემოსულობები ამ ეტაპზე შესაძლებელია განსაზღვრული იქნას 21 670,9 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 26 103,7 ათასი ლარით;

ტრადიციულად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დეფიციტურია, რადგან მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები ვერ ფარავს გასაწევ ხარჯებს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა გამოყენებული იქნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური დახმარება, ასევე წინასწარი გათვლებით 2026 წლის ბოლოსათვის დარჩენილი და 2027 წლის პირველი იანვრისათვის მოსალოდნელი სავარაუდო საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი. (დეფიციტი შეადგენს 4 432,8 ათას ლარს)

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არის 2027 წლის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი, მომდევნო თვის განმავლობაში ერთის მხრივ განხორციელდება მაკროეკონომიკური დინამიკის განახლებული ანალიზი.

ამასთან პარლამენტში უკვე მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის მეორედ წარდგენა, რამაც ნაწილობრივ შეცვალა პარამეტრები, და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მეორედ წარდგენისას დღგ-დან მისაღები შემოსავლები გაიზარდა 163,0 ათასი ლარით.

ასევე საკრებულოდან მოსალოდნელი შენიშვნების გათვალისწინებით მოხდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის ფორმირება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2026 წლის ცხრა თვის შესრულება	**2027 წლის პროექტი**	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
გადასახადები	19,581.9	**19,804.4**	9,457.4	**14, 958. 5**	- 4 845,9	-24,5
ქონების გადასახადი	8,611.2	**8,000.0**	644.6	**2,000. 0**	-6,000.0	-75.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	10,970.7	**11,804.4**	8,812.8	**12, 958,5**	+1154,1	9,8

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული პარამეტრების შესაბამისად, 2027 წლის პროგნოზით ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 14 958,5 ათას ლარს. (დან. N.1;1_1)

აღსანიშნავია, რომ 2027 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი მცირდება 4 845,9 ათასი ლარით (24,5%-ით). 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გადასახადების გეგმა შეადგენდა 19 804,4 ათას ლარს.

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

2027 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 20% შადგენს 2 445,0 მლნ ლარს, საიდანაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2027 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებითი ღირებულების 0,53%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 12 958,5 ათასი ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებითი ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით; ამასთან, გასანაწილებელი თანხის 0,01%თ შემცირების მიუხედავად 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (11 804,4 ათასი ლარი), 2027 წლის დღგს გეგმა გაზრდილია 9,8 %-ით - 1 154,1 ათასი ლარით. ამასთან, როგორც ზევით აღინიშნა ეკონომიკური პარამეტრები ყოველთვიურად იცვლება მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამო, რომელიც ჩვენს რეგიონზე და მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზე სწრაფად მოქმედებს და ოქტომბრის თვეში მუნიციპალიტეტში გასანაწილებელი დღგ-ს მაჩვენებელი 12 795,5 ათასი ლარი გაიზარდა 163,0 ათასი ლარით) (დან. N.1;1_1)

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2 000,0 ათას ლარს; (დან. N1;)

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი მომავალ წელს მცირდება 6 000,0 ათასი ლარით 75%-ით. აღნიშნული გადასახადის ძირითადი წილის გადამხდელი არის სს საქართველოს რკინიგზა. ასევე შედარებით მსხვილ გადამხდელებად ითვლებიან შპს სოკარ ჯორჯია გაზი, სს ენორგო-პრო ჯორჯია, შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია,შპს მაგთიკომი და სხვა. (დან.N2)

2027 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, დაგეგმილი მაჩვენებლები სავარაუდოდ განისაზღვრება 231,4 ათასი ლარით. რომლის გამოყოფაც მოხდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჭიროების შესაბამისად ,,საქართველოს 2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერიდან.

სხვა შემოსავლების სახით 2027 წელს იგეგმება **6 466,**0 ათასი ლარი, აქედან:

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2026 წლის ცხრა თვისშესრულება	**2027 წლის პროექტი**	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
სხვა შემოსავლები	3,594.4	**2,455.0**	7,178.3	**6,466.0**	4,011.0	163.4
შემოსავლები საკუთრებიდან	786.9	**400.0**	645.3	**405.0**	5.0	1.3
პროცენტები	654.3	**300.0**	514.1	**300.0**	0.0	0.0
რენტა	132.6	**100.0**	131.2	**105.0**	5.0	5.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	76.8	**75.0**	40.6	**75.0**	0.0	0.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	55.8	**25.0**	90.6	**30.0**	5.0	20.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	86.5	**55.0**	58.4	**61.0**	6.0	10.9
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	86.5	**55.0**	58.4	**61.0**	6.0	10.9
სანებართვო მოსაკრებელი	4.6	**5.0**	6.9	**6.0**	1.0	20.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	82.0	**50.0**	51.5	**55.0**	5.0	10.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2,712.8	**2,000.0**	6,432.9	**6,000.0**	4,000.0	200.0

შემოსავლები საკუთრებიდან 405,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები იგეგმება 300.0 ათასი ლარის ოდენობით; რენტა 105,0 ათასი ლარი, აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 75,0 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 30,0 ათასი ლარი; (დან. N;3.)

2027 წელს შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრება 61,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 6,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 55,0 ათასი ლარი; *(დან.N2; 3)*

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 6 000,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო სავარაუდოდ 3 000 ,0 ათასი ლარი; შემოსავალი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 3 000,0 ათასი ლარი; ჯარიმებიდან და სანქციებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 2026 წლისბიუჯეტით განისაზღვრებოდა 2 000,0 ათასი ლარით და ფაქტიურად უკვე მიღებულია 6 400,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმა 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 4 011,0 ათასი ლარით იზრდება. ზრდა ძირითადად გამოწვეულია მეტწილად სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან მისაღები შემოსავლების გაზრდით და უმნიშვნელოდ ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების ზრდის ხარჯზე.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 15,0 ათ. ლარს; (დან. N2)

სულ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 21 670,9 ათას ლარს და 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებს 814,5 ათასი ლარით ანუ 3,6 %-ით ჩამორჩება. (2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები იყო 22 485,4 ათასი ლარი;

დასახელება	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
შემოსულობები	**22,485.4**	**21, 670,9**	**-814,5**	**- 3,6**
გადასახადები	19,804.4	14,958,5	- 4 845,9	-24,5
გრანტები	216.0	231.4	15.4	7.1
სხვა შემოსავლები	2,455.0	6,466.0	4,011.0	163.4

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები)

პროგრ. კოდი	პრიორიტეტების დასახელება	2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2027 წლის პროექტი	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სულ	**24,704.0**	**26,103.7**	1,399.7	5.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	6,783.2	6,958.2	175.0	2.6
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3,070.0	3,080.6	10.6	0.3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,964.5	3,643.9	679.4	22.9
04 00	განათლება	4,522.8	4,994.4	471.6	10.4
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,932.9	3,932.1	-0.8	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,430.6	3,494.5	63.9	1.9

მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის გადასახდელების (ხარჯები) მოცულობა შეადგენს 27 103,7 ათას ლარს, 2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გადასახდელები გაზრდილია 1 399.7 ათასი ლარით 5.7 %-ით (2026 წლის დამტკიცებული გადასახდელები შეადგენდა 24 704,0 ათასი ლარით ამასთან, 2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1,735 ლარის ოდენობით ნაცვლად 1 600 ლარისა.8,4 %-ით იზრდება საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები, მათ შორის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასები ამ ეტაპზე იზრდება 100 ლარით.

ხარჯვით ნაწილში კვლავ გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული უწყვეტი გადაადგილების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობისათვის შედარებით უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. აღნიშნულის გამო მუნიციპალიტეტი კვლავ აგრძელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, როგორიცაა ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდები, ხიდ-ბოგირები, სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრები გზებსა და მდინარეებზე. ასევე გათვალისწინებულია

მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ასპექტები;

მომავალ 2027 წელს კვლავ გრძელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით 2022 წელს დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განახორციელდება მოქალაქეების ჩართულობით შექმნილი და მოწონებული პროექტები, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია შესაბამის საბიუჯეტო პროგრამებში, და ჯამში ამ პროექტების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 300,0 ათ. ლარს.

2027 წლის მუნიციპალიტეტის ყველა საბიუჯეტო პროგრამა განსაზღვრულია კავშირი გაეროს მდგრადი განვითარების შესაბამის მიზნებთან.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

1) 02 00 პრ. კოდი - ინფრასტრუქტურის განვითარება - 3 400,6 ათასი ლარი, რაც წინა წლის დაგეგმილ მაჩვენებლებზე 10,6 ათასი ლარით მეტია. 2026 წელს დაგეგმილი იყო 3 070,0 ათასი ლარი. ზრდის პროცენტი შეადგენს 0,3 %-ს.

(ათ. ლარი)

პრ. კოდი	დასახელება	2026 დამტკიცებული გეგმა	2027 წლის პროექტი	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**3,070.0**	**3,080.6**	**10.6**	**0.3**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**1,490.0**	**1,570.6**	**80.6**	**5.4**
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	750.0	750.0	0.0	0.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	300.0	300.0	0.0	0.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	60.0	70.6	10.6	17.7
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	180.0	200.0	20.0	11.1
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	200.0	250.0	50.0	25.0
02 02	**წყლის სისტემის განვითარება**	**440.0**	**390.0**	**-50.0**	**-11.4**
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	270.0	280.0	10.0	3.7
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	170.0	110.0	-60.0	-35.3
02 03	**გარე განათება**	**540.0**	**620.0**	**80.0**	**14.8**
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	540.0	590.0	50.0	9.3
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	0.0	30.0	30.0	
02 04	**მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია**	**200.0**	**100.0**	**-100.0**	**-50.0**
02 05	**კეთილმოწყობა**	**150.0**	**150.0**	**0.0**	**0.0**
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0.0	60.0	60.0	
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	150.0	90.0	-60.0	-40.0
02 09	**სოფლის მხარდამჭერი პროგრამა**	**250.0**	**250.0**	**0.0**	**0.0**

მათ შორის:

02 01 პრ.კოდი - ***საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 1 570.0 ათასი ლარი;***

აღნიშნული პროგრამით გაგრძელდება გზების მოასფალტება-მობეტონებისა და ნაპირსამაგრების მოსაწყობი სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდება თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე, ასევე გაწეული იქნება საპროექტო და მონიტორინგის ხარჯები. გაგრძელდება შიდა გზების მოვლა-პტრონობა, ხიდების რეაბილიტაცია, ასევე გაგრძელდება და იზრდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის მოცულობა, მოეწყობა ახალი საგზაო ნიშნები, განხორციელდება ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა და მოვლა-პატრონობა.

02 02 პრ. კოდი - წყლის სისტემების განვითარება - 390.0 ათასი ლარი; აღნიშნული პროგრამით კვლავ გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამუშაოები,ასევე გახშირებული სტიქიური მოვლენების გამო დაფინანსდება მდინარეებზე ნაპირსამაგრების მოწყობისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგების ხარჯები.

02 03 პრ. კოდი - გარე განათება - 620.0 ათასი ლარი.

ამ პროგრამით განხორციელდება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოხდება გარე განათების ქსელია გაფართოება. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა.

02 04 პრ. კოდი მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 100.0 ათასი ლარი; განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოები. ასევე გაგრძელდება მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის პროცესი.

02 05 პრ. კოდი - კეთილმოწყობა 150.0 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში მოხდება საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა და სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში დაფინანსდება გამარჯვებული პროექტები, მათ შორის მოხდება სასაფლაოების შემოღობვა.

02 09 პრ. კოდი - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - 250.0 ათასი ლარი; აღნიშნული ხარჯები ძირითადად გათვალისწინებულია სოფლის ხარდამჭერი პროექტების თანადაფინანსებისათვის, ხოლო ნაწილი მოხმარდება სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოწყობილი ობიექტების ელექტროენერგიის წყაროზე დაერთებას.
პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა, წისქვილების რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოფლის მოსახლეობა.

2) 03 00 პრ. კოდი - დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3 643.9 ათასი ლარი და წინა 2026 წლის დაგეგმილ მაჩვენებლებს აღემატება 679.4 ათასი ლარით, ზრდის პროცენტი შეადგენს 22,9 %-ს. (2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დასუფთავების პრიორიტეტი 2 964.5 ათას ლარით იყო განსაზღვრული)

(ათ. ლარი)

პრ. კოდი	დასახელება	2026 დამტკიცებული გეგმა	2027 წლის პროექტი	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2,964.5**	**3,643.9**	**679.4**	**22.9**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,584.5	3,200.0	615.5	23.8
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	363.0	443.9	80.9	22.3

მათ შორის:

03 01 -დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 3 200.0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა; ასევე დებულებით გათვალისწინებული სხვადასხვა სამუშაოების შესრულება, მათ შორის სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25-35 მ/კუბ ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავმზიდი. ხარჯების ნაწილი ხმარდება ადმინისტრაციულ ხარჯებს, მ.შ. პერსონალის ხელფასებს. ასევე საჭიროების დროს 20 ა/ერთეულში შემავალ სოფლებში ხდება სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შეკეთება, გაწმენდა. რაც ხელს უწყობს კატასტროფების რისკების პრევენციას და ამცირებს სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს. უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხო გარემოს და აუმჯობესებს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და საიმედო მუშაობას.

03 02- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 443.9 ათასი ლარი

მოსახლეობისთვისჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, წამლობა, შხამქიმიკატების შეტანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკებისა და სავალი გზის ნაპირების გაცელვითი სამუშაოები.

3) 04 00 - განათლება - 4 994,4 ათასი ლარი, რაც 2026 წლის საგეგმო მაჩვენებლებს 471,6 ათასი ლარით აღემატება (2026 წელს განათლების პრიორიტეტში გათვალისწინებული იყო 4 522,8 ათასი ლარი) ზრდის პროცენტი შადგენს 10,4 %;

(ათ. ლარი)

პრ. კოდი	დასახელება	2026 დამტკიცებული გეგმა	2027 წლის პროექტი	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
04 00	**განათლება**	**4,522.800**	**4,994.4**	471.6	10.4
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3,991.100	4,358.0	366.9	9.2
04 04	სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა	8.000	**10.0**	2.0	25.0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	195.200	204.5	9.3	4.8
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	328.500	421.9	93.4	28.4

მათ შორის:

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება 4 358,0 ათასი ლარი; 2026 წლის მაჩვენებლებთან შედარებით თანხები გაზრდილია 366,9 ათასი ლარით და ითვალისწინებს გაერთიანებაში მომუშავე თანამშრომლების სახელფასო გაზრდას 100 ლარით.

სკოლების რეაბილიტაცია 10,0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდება საზედამხედველო სამუშაოების ანაზღაურებას.

04 05 - ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პანსიონური მომსახურება) 204,5 ათ, ლარი, პროგრამის განმხორციელებელი არის ბორის საჯარო სკოლა (ინტერნატი) და დაფინანსება ხმარდება ინტერნატში ღამის გამთევი მოსწავლეების შესანახი ხარჯების ანაზღაურებას.

04 06- სკოლის გარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლეთა სახლი) - 421,9 ათ. ლარი

4) 05 00- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3 932.1 ათასი ლარი , რომელიც წინა 20026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯებს მხოლოდ 0,8 ათასი ლარით ჩამორჩება. (2026 წელს კულტურის და სპორტის პრიორიტეტზე 3 932,9 ათასი ლარი იყო დაგეგმილი)

(ათ. ლარი)

პრ. კოდი	დასახელება	2026 დამტკიცებული გეგმა	2027 წლის პროექტი	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**3,932.9**	3,932.1	-0.8	0.0
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**1,445.0**	1,192.0	-253.0	-17.5
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	20.0	12.0	-8.0	-40.0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	1,045.0	1,020.0	-25.0	-2.4
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	380.0	160.0	-220.0	-57.9
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**2,198.9**	2,456.0	257.1	11.7
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	310.4	345.2	34.8	11.2
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	1,825.0	2,058.3	233.3	12.8
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	33.5	41.4	7.9	23.6
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	30.0	11.0	-19.0	-63.2
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	140.0	135.1	-4.9	-3.5
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	100.0	0.0	0.0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	49.0	49.0	0.0	0.0

მათ შორის:

05 01- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 192.0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ღონისძიებებისა და სპორტის ხელშეწყობის დაფინანსება. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა წახალისების ხარჯებს. მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში გაგრძელდება სპორტული მოედნების მოწყობა.

05 02- კულტურის სფეროს განვითარება - 2 456.0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სამუსიკო სკოლის, ფოლკლორის ცენტრის, კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის, ასევე კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

05 03 - მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობა -135,1 ათასი ლარი, ამ პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია ბეჭდური და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

05 04- რელიგიის დაფინანსება 100,0 ათასი ლარი; ამ პროგრამით ხორციელდება მარგვეთისა და უბისის ეპარქიასთან თანამშრომლობა.

05 05- ახალგაზრდობის მხარდაჭერა -49,0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება, ოქროს და ვერცხლის მფლობელი მოსწავლეების წახალისება.

5) 06 00 - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3 494.5 ათასი ლარი, 2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით აღნიშნულ პრიორიტეტზე მიმართული იქნება 63,9 ათასი ლარით მეტი და ზრდის პროცენტი შეადგენს 1,9 %-ს. 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით აღნიშნულ პრიორიტეტზე 3 430,6 ათასი ლარი მიიმართებოდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პრიორიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 2 509,0 ათასი ლარით და გახდა 5 939,6 ათასი ლარი, აქედან ზრდა მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 1 433,6ათასი ლარით. (მ.შ.გაიზარდა სპეციალური ტრანსფერით 1418,2 ათასი ლარით; მიზნობრივი ტრანსფერი 15,4ათ. ლარით) და საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 1 075,4 ათასი ლარით.

(ათ. ლარი)

პრ. კოდი	დასახელება	2026 დამტკიცებული გეგმა	2027 წლის პროექტი	სხვაობა	ზრდის ან შემცირების პროცენტი
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3,430.6**	3,494.5	63.9	1.9
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	328.3	371.5	43.2	13.2
06 03	**სოციალური დაცვა**	**3,102.3**	3,123.0	20.7	0.7
06 03 01	**სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება**	**600.0**	600.0	0.0	0.0
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	107.0	120.0	13.0	12.1
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	1,100.0	1,000.0	-100.0	-9.1
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	75.0	75.0	0.0	0.0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	63.0	63.0	0.0	0.0
06 03 07	**მარტოხელა მშობლების დახმარება**	**24.0**	30.0	6.0	25.0
06 03 08	**მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება**	**60.0**	80.0	20.0	33.3
06 03 09	**ყოველთვიური დახმარება**	**80.0**	100.0	20.0	25.0
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	9.0	9.0	0.0	0.0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	8.0	10.0	2.0	25.0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	100.0	50.0	-50.0	-50.0
06 03 13	**სოციალურად დაუცველი და მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება**	**20.0**	40.0	20.0	100.0
06 03 14	**უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება**	**20.0**	50.0	30.0	150.0
06 03 15	**ახალშობილთა ოჯახების დახმარება**	**35.0**	80.0	45.0	128.6
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1.0	1.0	0.0	0.0

06 03 17	**სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა**	250.0	250.0	0.0	0.0
06 03 18	**უფასო სასადილო**	**337.3**	360.0	22.7	6.7
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	50.0	30.0	-20.0	-40.0
06 03 20	**გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა**	**50.0**	60.0	10.0	20.0
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	30.0	30.0	0.0	0.0
06 03 22	არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	78.0	80.0	2.0	2.6
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	5.0	5.0	0.0	0.0

მათ შორის:

06 01 - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 371,5 ათასი ლარი; მ. შ. საკუთარი სახსრებით 165,1ათასი ლარი და მიზნობრივი ტრანსფერით 206,4 ათასი ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;,

06 03 - სოციალური დაცვა - 3 123,0 ათასი ლარი, მათ შორის 3 098,0 ათ. ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით; 25.0 ათ. ლარი მიზნობრივი ტრანსფერით) გასულ წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 20,7 ათასი ლარით მეტი. 2026 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი 3 102,3 ათას ლარს შეადგენდა,

2027 წელს გათვალისწინებულია შემდეგი სოციალური პროგრამები:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება -600, 0 ათ. ლარი,

შშმ პირთა დახმარება-120,0 ათ, ლარი,

ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 1 000,0 ათ, ლარი.

ლეიკემიით დაავადულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება- 75,0 ათ, ლარი

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება- 63,0 ათ, ლარი

მარტოხელა მშობლების დახმარება - 30,0 ათ, ლარი,

მარჩენალდაკარგულთა დახმარება - 80,0 ათასი ლარი;

ყოველთვიური დახმარება - 80,0 ათ, ლარი;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დახმარება . -9,0 ათ, ლარი.

ხანდაზმულთა დახმარება - 10,0 ათ, ლარი.

სადღესასწაულო დღეების დახმარება - 50,0 ათ, ლარი

სოციალურად დაუცველი და მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 40.0 ათ, ლარი

უკიდურესად გაჭირვ. ოჯახების სათბობი მასალით დახმარება- 50,0 ათ, ლარი

ახალშობილთა ოჯახების დახმარება - 80,0 ათ, ლარი

გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა- 1.0 ათ, ლარი, მათ შორის 0,5 მიზნობრივი ტრანსფერით.

სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა- 250, 0 ათასი ლარი.

უფასო სასადილო- 360,0 ათ, ლარი

საგრანტო პროექტების ხელშეწყობა - 30,0 ათასი ლარი.
გადაუდებელი რეაგირების პროგრამა - 60,0 ათასი ლარი

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება - 30,0 ათასი ლარი;

არასრულწლოვანთა დახმარება -80,0 ათასი ლარი. მათ შორის 19,5 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 60,5 ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით;

პერსონალური ასისტენტის მომსახურება - 5,0 ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერით.

6) 01 00 - მმართველობა - 6 958,2 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1 593,7 ათასი ლარი;

მერია - 5 209,5ათასი ლარი;

კადრების მომზადება გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები - 30,0 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 120,0 ათასი ლარი;

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობა - 5,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პროგრ. კოდი	დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის დამტკიცებული გეგმა	2027 წლის პროექტი
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	**22,260.5**	**24,704.0**	**26,103.7**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულება**	**5,343.4**	**6,783.2**	**6,958.2**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5,287.0	6,510.2	6,833.2
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,170.5	1,482.6	1,593.7
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	4,104.3	5,007.6	5,209.5
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	12.3	20.0	30.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	56.4	273.0	125.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	160.0	120.0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა	0.0	50.0	0.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	56.4	58.0	0.0
01 02 04	ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობა	0.0	5.0	5.0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**2,436.6**	**3,070.0**	3,080.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,275.8	1,490.0	1,570.6
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	748.1	750.0	750.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	288.0	300.0	300.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	44.3	60.0	70.6
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	51.9	180.0	200.0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	143.6	200.0	250.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	101.5	440.0	390.0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	100.7	270.0	280.0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	0.7	170.0	110.0
02 03	გარე განათება	433.9	540.0	620.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	425.0	540.0	590.0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	9.0	0.0	30.0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	170.4	200.0	100.0
02 05	კეთილმოწყობა	175.7	150.0	150.0
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0.0	0.0	60.0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	175.7	150.0	90.0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	279.3	250.0	250.0

პროგრ. კოდი	დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის დამტკიცებული გეგმა	2027 წლის პროექტი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2,500.4**	**2,964.5**	**3,643.9**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,185.9	2,584.5	3,200.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	312.8	363.0	443.9
03 03	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა	1.7	17.0	0.0
04 00	**განათლება**	**4,214.0**	**4,522.8**	**4,994.4**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3,543.5	3,991.1	4,358.0
04 04	სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა	191.2	8.0	10.0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	180.9	195.2	204.5
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	298.4	328.5	421.9
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**3,156.3**	**3,932.9**	**3,932.1**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,027.2	1,445.0	1,192.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	13.8	20.0	12.0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	745.9	1,045.0	1,020.0
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	267.5	380.0	160.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,914.2	2,198.9	2,456.0
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	280.4	310.4	345.2
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	1,591.5	1,825.0	2,058.3
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	30.4	33.5	41.4
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	11.9	30.0	11.0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	119.4	140.0	135.1
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80.0	100.0	100.0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	15.5	49.0	49.0
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**4,609.7**	**3,430.6**	**3,494.5**
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	290.1	328.3	371.5
06 03	სოციალური დაცვა	4,319.6	3,102.3	3,123.0
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	883.6	600.0	600.0
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	90.1	107.0	120.0
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	1,087.4	1,100.0	1,000.0
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	46.4	75.0	75.0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	27.6	63.0	63.0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	20.4	24.0	30.0
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	55.2	60.0	80.0
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	79.9	80.0	100.0
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	9.0	9.0	9.0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	7.0	8.0	10.0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	259.6	100.0	50.0
06 03 13	სოციალურად დაუცველი და მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	10.8	20.0	40.0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება	66.3	20.0	50.0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	20.3	35.0	80.0
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0.0	1.0	1.0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	1,131.6	250.0	250.0
06 03 18	უფასო სასადილო	313.3	337.3	360.0
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	20.0	50.0	30.0
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	77.0	50.0	60.0
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	25.0	30.0	30.0
06 03 22	არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	89.2	78.0	80.0
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	0.0	5.0	5.0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6 958,2 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 1 820,6 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 3 643,9 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1 260.0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 371,5 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, სპორტი - 3 932,1 ათასი ლარი;*
- *განათლება - 4 994,4 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 3 123,0 ათასი ლარი;*

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დანართი (2027-2030 წლები)
2. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ; (პროგრამული ბიუჯეტის დანართი)
3. ინფორმაცია კაპიტალური ბიუჯეტის შესახებ;
4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
5. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
6. ინფორმაცია 2026 წლის ცხრა თვის შესრულების შესახებ;

ა) 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი ვრცელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებზე და მათ ბენეფიციარებზე.

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:
წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენის შეფასებას. თითოეული მიმართულებით დაგეგმილი პოლიტიკის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენა ფასდება ინდივიდუალურად.

დ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ე) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი